საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტ. სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

№ 309
ოთხშაბათი, ოქტომბრის 4
1922 წ.

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული
დრამატიული სტუდიის
ლატარია გათამაშდება
ამა წლის
26 ნოემბერს.
რასაც საყოველთაო ცნობისათვის ამით ვაცხადებთ.
ლატარიის გამთამაშებელი კომისიის თავმჯდომარე,
სრულიად საქართველოს ხელოვანთა კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი.
კომისიის წევრნი:
განათლების კომისარიატის წარმომადგენელი: ო. ლეჟრანი.
ფინანსთა „ „ ტ. ხოშტარია
შინაგან საქმეთა „ „ გ. ტაბიძე.
მუშათა და გლეხთა ინსპექციის „ ვ. ცომაია.
სახალხო ბანკის „ კ. შავლაძე.
მთავარი სახელოვნო კომიტეტის „ შ. აფხაძე.
ქართველ მსახიობთა კავშირის „ ვ. ჯაქია.
საქართველოს ხელოვნების მუშაკთა „ ნ. გოძიაშვილი.
პასუხისმგებელი გამგე ლატარიის, სტუდიის ხელმძღვანელი: აკაკი ფალავა.
სტუდიის ადმინისტრატიული მმართველობის გამგე: გ. მიქელაძე.
მდივანი: ხ. პიპინაძე.

სახელმწიფოთა ურთიერთობა

კაპიტალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხი.

არსად არ გამოსჭვივის ისე შიშვლად, ისე აშკარად, ისე ნათლად ის ძალადობა, უსამართლობა, ეგოიზმი და გაუტანლობა კაპიტალისტური ეპოქის, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

რაც პიროვნებისათვის აკრძალულია სახელმწიფოში, რაც საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ნებადართულია და თვით კაპიტალისტური სახელმწიფო სდევნის მას, იგივე სამართლიანად და სასახელოდ მიჩნეულია სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროში, სახელმწიფოთა ჭიდილის პროცესში.

იმპერიალისტური ომის გამარჯვებული მთავარი სახელმწიფო „კულტურული“ ერის ქებათა ქებას იმსახურებს, რადგან შესძლო მოხერხებულად განადგურება ადამიანთა სიცოცხლისა, დაპყრობა მოწინააღმდეგისა და ახალი ბაზრების მოპოვება ნაციონალური წარმოებისათვის.

„კაცის კვლა“, ეს ყველაზედ საზარელი მოვლენა, სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალურ მოვლენად ითვლება და ინდივიდუალიზმის საუკუნეში ჩირადაც აღარ ფასობს ადამიანის სიცოცხლე.

ერი, როგორც მატარებელი კულტურული ატრიბუტების, დიდ სახელმწიფოთა ჯარების სათარეშო მოედანია, მოკირწყლული მამულიშვილთა სისხლითა და ძვლებით.

კაპიტალისტური ქვეყნების განვითარება ეს იგივეა, რაც ბიუჯეტის მილიტარიზაცია, რომელიც თავიდან ფეხებამდე იარაღში ასხამს ქვეშევრდომთ და ფატალური აუცილებლობით მიაქანებს მსოფლიოს ახალ-ახალ კონფლიქტებისაკენ.

დაწყებული ინგლისითა და ამერიკით და გათავებული ჩილით სულელური სიჩქარით შეიარაღებისაკენ ისწრაფვიან „კულტურული“ ქვეყნები და ადამიანთა განმანადგურებელ საშუალებათა ძიებაში ოქროსაგან მოსყიდული მეცნიერთა გამჭრიახი თავი.

კოლონიური პოლიტიკის ისტორია, ისტორიაა მტაცებლობის, სისხლის ღვრის და ველურობის „კულტურული“ კაცობრიობის მიერ.

ყოველივე ეს შედეგია სეპარატიზმის, რომელიც ომისა და სისხლის ღვრის ფილოსოფიაა. როგორც ცენტრალიზმი დამხშობია იმ პოტენციალი ძალების, რომელიც არსებობს ერში, ისე სეპარატიზმი ბუდეა შოვინიზმის და იმპერიალისტური ნაციონალიზმის.

სოციალისტებს კარგათ ესმოდათ სახელმწიფოთა ურთიერთობის ეს სახე და ამიტომ ისინი მთლიანი სახელმწიფოს იდეას აყენებდნენ.

ჯერ კიდევ სენ-სიმონი და მისი მოწაფეები ანფანტენი და ბაზარი ოცნებობდნენ ერთი ხალხის შექმნას და ერთი სახელმწიფოს იდეის რეალიზაციას, რომელიც ბოლოს მოუღებდა ომებს და დაამყარებდა მშვიდობიანობას.

ფურიეც თავის ფალანსტერების კავშირს მსოფლიო მაშტაბით უყურებდა, რომელსაც უნდა მოეხდინა მთელი ქვეყნის გაერთიანება. ოუენიც მსოფლიოს რესპუბლიკაზე ოცნებობდა, რომელიც უნდა შემდგარიყო სოციალისტურ საზოგადოებათა ფედერაციისაგან. ლერუც მსოფლიო სახელმწიფოს იდეას აყენებდა და მხოლოდ ლასალი შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ სოციალისტად, რომელიც ნაციონალურ სახელმწიფოს უკავშირებდა სოციალისტურ იდეას.

რაც შეეხება მარქსისტულ სკოლას, ყველასათვის ცნობილია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, რომელიც პირველად დაიწერა 48 წელში გამოსულ მანიფესტს, რომელიც უარყოფდა ნაციონალურ სახელმწიფოს.

ჩვენ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს კარგად გვესმის ის მთავარი დებულება, რომ სოციალიზმის განხორციელება და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიოს მაშტაბით სწარმოებს.

თუ კაპიტალიზმი თავის დასაწყისს პიროვნების, ადამიანის გაყვლეფას ემყარებოდა, ეხლა იგი თავის დასასრულის დასაწყის ეროვნების და ხალხის გაყვლეფაზე ემყარება. ამ რიგად, რადგანაც კაპიტალიზმის ბატონობა მსოფლიოს მაშტაბში არის გაშლილი, იმდენათ მის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიო მაშტაბით უნდა სწარმოებდეს. ამიტომ გასაგებია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის კონსტრუქციაც უნდა ეგუებოდეს ამ მოვლენის მიმდინარეობას და ამიტომაც ჩვენ მსოფლიოს ფედერაციის იდეით გამოვდივართ.

ვინც პრინციპიალურად სდგას სეპარაციის ნიადაგზე, იგი ხელს უშვებს სოციალიზმისათვის ბრძოლას, ვინც სეპარაციის დამცველია მუდამ და ყოველთვის, იგი სოციალიზმის წინააღმდეგია სამართლიანად.

დღეს ჩვენში არის მრავალი „სოციალისტი“, რომელსაც იდეურად გამოდის სეპარაცია, ყოველ შემთხვევაში სპეკულირობს ამ იდეით და [illegible] კიდევ არსებობს ჩვენში ისეთი ხალხი, რომლებსაც შეუძლია მეტი ბრძნული აზრების განმეორება.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება ფედერაციაშია და არა სეპარაციაში. ამერიკის გმირის ვაშინგტონის მამაცობა, გერმანეთის რკინის კანცლერის ბისმარკის პოლიტიკური გამჭრიახობა ვერას გახდებოდა თუ არა ფედერატიული კავშირით გამტკიცებული ამერიკის შტატები და გერმანეთის სამთავროები.

ჩვენში ფედერაციამ ვერ მიიღო შესაფერისი სახე და თითქმის ცენტრალისტური პრინციპი დაედო საფუძვლად ამიერ-კავკასიის ფედერაციას. ფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა ხელში შეიზღუდა სახელმწიფოებრივი ფუნქციები და გაერთიანების პოლიტიკამ დააყენა სერიოზულ დეფექტების წინაშე.

სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის ფედერაცია უკვე მიღებულია იმათ მიერაც, ვინც გაფითრებით ებრძოდა ამ იდეას, მაგრამ ფედერაციის მიღება თეორიულად კიდევ არ ნიშნავს მის სისწორით დაცვას და განხორციელებას პრაქტიკულად.

ასეთი მდგომარეობაა დღეს ჩვენში შექმნილი. ფედერალური მთავრობის ხელში გადადის თითქმის მთელი ფუნქციები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ამავე დროს ფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა კომპეტენცია იზღუდება, ვიწროვდება.

ცენტრალურმა აღმასკომის სესიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. პირველი სესიის შემდეგ, ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ მიმართებით მრავალ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომელიც პასუხს მოითხოვს ცენტრალური აღმასკომის მიერ.

საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა სხვათა შორის მით არის კარგ პირობებში, რომ მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები ურთიერთ შორის ანტაგონისტურად არის განწყობილი, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ასეთი რამ შეუძლებელია, თუ დაცული იქნება საბჭოთა ფედერაციის ყველა შემადგენელ ნაწილთა ინტერესი. ამ მიმართებით კი საჭიროა მუშაობა ჩვენში ამიერ-კავკასიის ფედერაციის კომპეტენციის გამოსარკვევად.

ხერ. ამაღლობელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის სესია

სამშაბათი, 3 ოქტომბერი

სხდომა იხსნება დილის 11 ნახევარ საათზე. პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფ. მახარაძე. ცენტრალური აღმასკომის მუშაობის ანგარიში, ამბობს მომხსენებელი, 7 თვეს შეიცავს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოგვიხდა პარალელურად გვემუშავა ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ორგანოებთან; პრეზიდიუმი ორგვარ მუშაობას აწარმოებდა: დადგენილებებით, გარეგნად შესამჩნევი ხერხით;—მეორე კი ის, რომელიც არ აღინიშნება ოქმებსა და დადგენილებებში და რომელიც არ არის თვალსაჩინო.

ჩვენს ამოცანაში, შედიოდა სახელმწიფოებრივი ორგანოების გაჯანსაღება და ჩამოყალიბება, გადასახადების სისტემის შერჩევა და გადასინჯვა, მიწის მოწყობის დებულების შემუშავება და ძველი საკანონმდებლო აქტების გადახალისება და შესწორება. ასეთ და სხვა მიზნებისათვის შექმნილი იყო 7 კომისია, რომელნიც მუშაობდნენ სხვა და სხვა საკითხებზე. ამ კომისიების მუშაობა ნაწილობრივ სესიის დაწყებამდე გრძელდებოდა ნაწილობრივ კი ადრევე იქნა დამთავრებული.

ჩვენი მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში მომავალ საბჭოთა ყრილობას წარედგინება, მაგრამ მე მაინც მსურდა მიმექცია თქვენი ყურადღება იმ პირობებზე, რომელშიც შექმნილია და რომელშიც ხდება მუშაობა. ეს პირობები საუკეთესო საფუძველია ჩვენი მომავალი მუშაობისათვის და ამ ხნით დიდი მუშაობაც არის გაწეული: სარწყავი არხების გაყვანა, გზებისა და ხიდების გაკეთება და ელექტრონული სადგურების გამართვა, დამშეულთა დახმარება,—ასეთია ჩვენი მუშაობის მრავალ ფეროვანი სახე. მართალია, ჩვენ მრავალ ადგილებში ვერ შევძელით, განსაკუთრებით განაპირა ადგილებში, მაგრამ ეს დანაკლისი ძლეულ იქნება იმ ღონისძიებებით, რომელნიც ჩვენ მიღებული და გათვალისწინებული გვაქვს. ამ მუშაობაში ჩვენ სხვა პირობებთან ერთად, ხელს გვიშლიან მრავალი ძალები. ამათი ცდა იქით არის მიმართული, რათა ჩვენი მუშაობა ჩაიფუშოს და შეფერხდეს. ასეთი იყო მაგ. სვანეთის ისტორია რომლის ლიკვიდაციაც კარგა ხანია რაც მოხდა და რომელიც მხოლოდ გაუგებრობასა და ინსინუაციებზე იყო აშენებული. მსგავსივე ხასიათის არის ხევსურეთის ბანდების მოქმედება. ჩვენი მოვალეობაა ხელისუფლება დაუახლოვოთ ამ განაპირა მხარეებს და მოვსპოთ ის მცირე დეფექტები, რომელიც მიღებული გვაქვს გამოცდილების მიღების დროს. მე არ ვამბობ, რომ ეს იყოს დიდი შეცდომა,—ეს არის მცირე მნიშვნელოვანი ნაკლი ადგილობრივი ხასიათისა.

საბჭოთა ხელისუფლებას აღებული აქვს რა მუშაობის განსაზღვრული მეთოდი და გზა და ამ საფუძველზე სწარმოებს და აწარმოებს მუშაობას.

მოხსენების დასასრულ ამხ. თ. ღლონტი თხოულობს მოხსენების გარშემო კამათის გახსნას, მაგრამ ხმების უმრავლესობით კამათი უარყოფილ იქნა. იღებენ რეზოლუციას, რომლითაც მოხსენება დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი და სხდომა გადადის მორიგ საკითხის განხილვაზე.

მიწის მოწყობის დებულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თოდრია მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედების კომისარიატში ხშირად მოდიოდა შეკითხვები, მიწის საკითხების გარშემო აღძრული გაუგებრობების განსამარტავათ. ეს საკითხები ცალ-ცალკე იყოს გარჩეული და შესაფერი ცვლილება—დამატებანი იქნა შეტანილი დებულებებში.

მომხსენებელი კითხულობს შესწორებულ დებულების მუხლებს, სადაც შეტანილია რამდენიმე ფაქტიური და რედაქციული შესწორება-დამატებანი. ამის შემდეგ დებულება მუხლობრივ იქნა განხილული და მიღებული ამხ. თედო ღლონტის შესწორებით და მცირე სხვა შესწორებებით.

ჟურნალ—გაზეთებიდან

გაერთიანება შეუთანხმებელ პარტიებისა გადაწყვეტილია. ს.-დემოკრატების აუგსბურგის ყრილობაზედ დაესწრო 6.000 წარმომადგენელი ბურჟუაზიულ პრესის კორესპონდენტები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ყრილობის შენობა არ იყო მორთული წითელი დროშებით. საპროგრამო სიტყვაში მიულერმა განაცხადა: „ჩვენ არ ვფიქრობთ შევსწყვიტოთ კლასიური ბრძოლა. გერმანიის რესპუბლიკა შექმნეს მუშებმა და ისინი შეეცდებიან იმის შესახებ, რომ ის არ გადაიქცეს მდიდრების რესპუბლიკად. გაერთიანება ორივე სოციალისტური პარტიის უკვე გადაწყვეტილია. ძმათა ომი გათავებულია. ჩვენ აწი ერთად შევუდგებით რესპუბლიკის დასაცავათ ბრძოლას“. ყრილობას დაესწრნენ წარმომადგენლები: დანიის, შვეციისა, ბელგიისა და ინგლისის. ებერტმა თავის მისასალმებელ დეპეშაში ყრილობისადმი აღნიშნა, რომ გაერთიანება ორივე პარტიისა წარმოადგენს არა მარტო სასიცოცხლო ინტერესს პროლეტარიატისათვის, არამედ გადაუდებელ სახელმწიფო პოლიტიკურ ამოცანას.

დებატების დროს, რ. შმიდტმა აღნიშნა, რომ არა მარტო სოციალიზმი, არამედ დემოკრატიაც წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საშუალებას კაპიტალიზმის მოსასპობად, ბერნშტეინი აკრიტიკებს გეოძიულერს, რომელსაც სურდა უარეყო ამის წინადღის სოციალ-დემოკრატიული მოთხოვნები. მაშინ ეს მოთხოვნილებანი სწორი იყო, დღეს კი მდგომარეობა გამოიცვალა. მრავალი მათგანი, რომელიც დაწერილია მარქსის მიერ „კაპიტალის“ პირველ ტომში, დაძველდა, მაგრამ შესწორებულია მესამე ტომში. პესიმიზმისათვის არ არის საფუძვლები, თუმც გავრცელებული პესიმიზმი მუშათა წრეებში გამოწვეული იყო უმთავრესად წინააღმდეგობაში სოც. დემ. პარტიის სიტყვასა და საქმის შორის. აქედან წარმოსდგება ის საშიშროება, რომ ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ახალგაზრდობა, რომელნიც ნაწილობრივ კიდევ გადადის კომუნისტურ პარტიაში. მასა კომუნისტურ ახალგაზრდობისა, რომელნიც აღტაცებულნი არიან კეთილშობილი იდეალიზმით, კვლავ უნდა დავიპყრათ გაერთიანებული პარტიის ძალ-ღონით.

—**მემარჯვენეთა მობილიზაცია.** გერლახი „ველტამ მონტაგში“ სწერს, რომ სოციალისტების გაერთიანების საკითხთან ერთად, სდგას მორიგ საკითხად განხორციელება საქმიანი თანამშრომლობისა ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. ავტორი ჰფიქრობს, რომ დემოკრატების ყრილობაზედ ელმერფელდში საკითხი გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილი იქნება მემარჯვენე დემოკრატების სასარგებლოდ, რომელნიც მოითხოვენ ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნას. ასეთივე მიმდინარეობა ემორჩილება ცენტრის პასუხსაც. გერლახი ჰფიქრობს, რომ ვირტის ბედი გადასწყდება ოქტომბერში, როდესაც შეიკრიბება რეიხსტაგი. კანცლერი უნდა გადადგეს აუცილებლად, რადგან ყოვლად შემძლე სტინესი არას შემთხვევაში არ შეურიგდება არსებულ კოალიციას. გერმანიას მოელის—ავტორის აზრით, პერიოდი მემარჯვენე მთავრობისა,—ბურჟუაზიულ ბლოკის მიერაც.

ბლაინსი საბჭოთა რუსეთთან გარიგების შესახებ. მსოფლიო მეურნეობის აღდგენის შესახებ მოხსენებაში, მანჩესტერში—6 ენკენისთვეს,—ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი ბლაინსი დაწვრილებით შეჩერდა რუსეთის საკითხზე. რომ ნათელი იყო, თუ რამდენათ ცუდათ მოქმედობს რუსეთის იზოლიაცია ინგლისის მრეწველობაზე, მან მოიყვანა შემდეგი მაგალითი: ლიკოლნშაირში ომის წინ სას.-სამ. მანქანების წარმოებაში მუშაობდა 12.000 კაცი. ახლა ეს რიცხვი შემცირებულია 3.600-მდი. შემდეგ ბლაინსმა განაცხადა, რომ თუ ინგლისის მთავრობამ სულ მოკლე ხანში არ იცნო საბჭოთა მთავრობა,—მაშინ ეს დიდ სამსახურს გაუწევს გერმანიას. რაპალოს ხელშეკრულება ერთად ერთი გამოსავალი იყო შექმნილი მდგომარეობიდან, რომელშიც ბრალი ინგლისს მიუძღვის...

საბჭოთა მთავრობის ნოტის გამოძახილი გერმანიაში. საბჭოთა მთავრობის ნოტამ ახლო აღმოსავლეთის საკითხზე დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანიაში. „მონტაგ-პოსტი“ სწერს: „თამამი ტონი ქემალ-ფაშისა მით აიხსნება, რომ მას მხარს უჭერს არა მარტო ისლამი, არამედ მოსკოვიც“. საბჭოთა რუსეთის ნოტა არის პირველი აშკარა და ოფიციალური ცნობა დაშნაკტიდან ავღანისტანამდე გაშლილ რუსეთ-ისლამის კოალიციისა. ამ კავშირის საუკუნო მნიშვნელობა ეხება და ევროპის ისტორიაში ახალ ხანას აღნიშნავს“. „ალგემაინე ცაიტუნგის“ აზრით, ოსმალოების გამარჯვების მსოფლიო მნიშვნელობა უფრო ანტანტის მიერ შებოჭილ ძალთა განთავისუფლებაშია, ვიდრე სრუტეებზე მუქარაში. „ინგლისის დასუსტებაო“—სწერს გაზეთი,—ავტომატიურათ გაამაგრებს რუსეთს და ყველა ანტიბრიტანუ-

ლათ განწყობილ სახელმწიფოებსაო''.

სპარსეთში. სპარსეთის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ მესოპოტამიის მოძრაობას. ინგლისელებმა დროებით დასამშვიდებლათ გამოაქვეყნეს განცხადება მესოპოტამიიდან თავიანთი ჯარების ევაკუაციის შესახებ, ნამდვილათ კი მათ მაშველი ძალა მოდით ინდოეთიდან. იმის გამო, რომ მესოპოტამიის ამბები დიდათ მოქმედებენ სპარსეთის ფართო მასებზე, ინგლისის მისიამ ტეგერანში გამოაქვეყნა ცნობები ინგლისის ჯარის მესოპოტამიიდან გასვლის შესახებ. მესოპოტამიის რევოლიუციონური მოძრაობის გავლენიანი მეთაურები სპარსეთის ქალაქ კერმანშიხში ჩამოვიდნენ და გამოსცეს მანიფესტი მთელ მუსულმანურ მსოფლიოსადმი ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებლათ. 16 ენკენისთვეს მესოპოტამიის რევოლიუციონერებმა მოაწყვეს სამგლოვიარო ,,ტირილის საღამო'', არაბეთის ხალხის დამონების გამო.

ახლო აღმოსავლეთი

ინგლისის ჯარები და დარდანელი.

მოსკოვი. 3 ოქტ. ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მოითხოვს დარდანელიდან ინგლისის ჯარების გაყვანას.

ამერიკის ესკადრა.

მოსკოვი. 3 ოქტ. ამერიკის გამანადგურებელ გემების ესკადრა გავიდა კონსტანტინოპოლში.

ამერიკა.

მოსკოვი. 3 ოქტ. პუანკარემ მიიღო ოსმალეთის და იტალიის ელჩები და აცნობა მათ საფრანგეთის დელეგატის დევჟმა, რომელიც აცნობებს, რომ ოსმალეთი თანახმაა მოკავშირე ჯარების მიერ ფრაკიის დროებითი ოკუპაციისა და აგრეთვე თანახმაა მოიწვიონ 3 ოქტომბერისათვის თათბირი მოკავშირე სახელმწიფოებთან.

ქემალმა გასცა ბრძანება, იმის გამო, რომ შეჩერებულ იქნას ოსმალეთის ჯარების წინსვლა. საფრანგეთში და იტალიაში მიიღეს ქემალის წინადადება.

ჰარინგტონის ნოტა

ჰანნოვერი. 3 ოქტ. გენ. ჰარინგტონი თავის ნოტაში წინადადებას აძლევს ქემალ-ფაშას გამოგზავნოს ოსმალეთის ოფიცრები ახალი ნეიტრალური ზონის დასაწესებლად, რომლიდანაც ორივე მხარემ უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი კონფლიქტი.

ინგლისის პირობები.

ჰანნოვერი. 3 ოქტ. ინგლისის მთავრობა მუდანიის კონფერენციაზე მდგომარეობს იმაში, რომ კონფერენციის დროს არავითარი წინსვლა არ უნდა აწარმოონ ოსმალეთის ჯარებმა ნეიტრალურ ზონაში და კონფერენციის დამთავრებამდე ოსმალეთს არ აქვს უფლება გადავიდეს ევროპის ტერიტორიაზე.

ოსმალეთის მოთხოვნილება.

ნაუენი. 3 ოქტ. ანგორის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა პუანკარეს, რომ ის თანახმაა მიიღოს მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში, რომლის დროსაც საომარი მოქმედება შეწყვეტილი იქნება, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს ფრაკიის ევაკუაციას, რომლის შემდეგ იგი უნდა გადაეცეს ანგორის მთავრობას.

მოკავშირეთა პასუხი.

ნაუენი. 3 ოქტ. ქემალ ფაშას საპასუხოთ, ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაციის შესახებ, მოკავშირეებმა განუცხადეს ქემალ-ფაშას, რომ მუდანიის კონფერენციას მოელის საფრთხე, თუ ის უარს განაცხადებს ნეიტრალური ზონიდან ჯარების გაყვანაზე, მაგრამ არავითარი ულტიმატუმი არ იქნა წარდგენილი.

საფრანგეთის პრესის აზრი.

ნაუენი. 3 ოქტ. პარიზის პრესა ოპტიმისტურად უყურებს ახლოაღმოსავლეთის საკითხს, ვინაიდან ფრანკლენ ბუიონმა აცნობა, რომ ქემალ-ფაშა თანახმაა, რათა საზავო კონფერენციის მიერ საკითხის გადაწყვეტამდე ფრაკია იქნას დატოვებული მოკავშირეთა ჯარების მიერ. გაზ. „პტი-პარიზიენი" მოითხოვს, რათა ინგლისის ჯარები გაყვანილ იქნან დარდანელის და ბოსფორის ჩრდილოეთის ნაპირებზე, ხოლო ოსმალეთმა დასცალოს დარდანელის ნეიტრალური ზონა, გაზ. „პტი-ჟურნალის" აზრით, შეთანხმება მიღწეულ იქნება ახლო აღმოსავლეთში, პარიზში დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მონაწილეობას ინგლის ოსმალეთის შეიარაღებულ კონფლიქტში.

თავმოყვარეობა.

ნაუენი. 3 ოქტ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჯარების ჩანაკიდან გაყვანა არ შეიძლება ვინაიდან ეს დასცემდა ინგლისის პოლიტიკურ პრესტიჟს, აგრეთვე აბათილებს ხმებს კონსტანტინოპოლიდან იტალიის ჯარების გაყვანის შესახებ.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა.

ბორდო. 3 ოქტ. ანგორის მთავრობამ შეიმუშავა მოკავშირეთა კოლექტიურ ნოტაზე პასუხის თეზისები, რომელიც დამტკიცებული იქნა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ.

ლონდონში

ბორდო, 3 ოქტ. მუდანიაში მოსალოდნელ კონფერენციის გამო, ლონდონში დღეს განწყობილება უფრო ოპტიმისტურია და გამოსთქვამენ იმედს, რომ სასურველად გადაწყდება ახლოაღმოსავლეთის საკითხი.

რომში

რომი. 3 ოქტ. დღეს გაიმართა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განიხილება ბუიონის და ქემალ-ფაშას მოლაპარაკების შედეგები.

პარიზში

რომი. პუანკარემ მიიღო ინგლისის და იტალიის ელჩები და აცნობა ფრანკლინ ბუიონის და ქემალის მოლაპარაკების შედეგი.

მოკავშირეთა გადაწყვეტილება

რომი. 3 ოქტ. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს მოახდინონ ფრაკიის ოკუპაცია, საზავო კონფერენციაზე ამ საკითხების გადაწყვეტამდე. აგრეთვე გადასწყდა დაიკავონ ადრიანოპოლი და სხვა სტრატეგიული პუნქტები. სხვათა შორის გელიბოლიც, ფრაკიაში მოკავშირეებს განზრახული აქვთ შეადგინონ სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაშიც იქნება ოსმალეთის დამცველი რაზმი. კომისია იქნება ფრაკიის გამგეული ზავის ჩამოგდებამდე.

ამერიკა და ახლო აღმოსავლეთი

ნაუენ. 3 ოქ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ „თეთრმა სახლმა" გამოუშვა ბრძანება რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამერიკა არ გაგზავნის სამხედრო გემებს მარმარილოს ზღვაში, რათა არ შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ მას სურს მონაწილეობის მიღება ახლოაღმოსავლეთის საქმეებში.

სტამბოლი

კროიდონი 3 ოქტ. სტამბოლის უმაღლესმა კომისრებმა გადადგეს ნაბიჯები სტამბოლის ტერიტორიაზე წეს რიგის დასაცავად და აგრეთვე ოსმალეთის განცხადების გამოსაძიებლად ბერძნების მიერ ჩადენილ მხეცობის შესახებ. ინგლისის ოფიცრებისაგან შემდგარი კომისია გაემგზავრა როდოსტოში, იტალიის კომისია გაემგზავრა ლიულე-ბურგასში და საფრანგეთის კომისია—ადრიანოპოლში.

მუდანიის თათბირის გამო.

კროიდონი, 3 ოქტომბერი. იმედს გამოსთქვამენ, რომ შეთანხმება სახლვრების დაწესების შესახებ იქნება მიღწეული. მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საბერძნეთის გენერალი.

იტყობინებიან, რომ მუდანიის კონფერენცია დააწესებს ხაზს საბერძნეთის ჯარების აღმოსავლეთ ფრაკიაში გადასაყვანად, ხოლო ანგორის მთავრობა მისცემს ვალდებულებას არ შეიყვანოს თავისი ჯარები ნეიტრალურ ზონაში და გადაიყვანს ისინი სრუტეებით მარმარილოს ზღვაში.

დახმარება ლტოლვილებს.

კროიდონი, 3 ოქტ. რუსეთის დამშეულთა დამხმარე ინგლისური საზოგადოება ამჟამად დახმარებას უწევს სმირნის ლტოლვილებს. საზოგადოება ზომებს დებულობს ათინიდან სურსათის შესაძენად.

კროიდონი, 3 ოქტ. „ნიუ-იორკ გერალდის" დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ მუდანიის კონფერენციის გადაწყვეტილების მოლოდინში ინგლისის მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ ის არ შეურიგდება არავითარ დათმობას იმ პირობებზე, რომელიც გამოთქმულია მოკავშირეების კოლექტიურ ნოტაში 23 სექტემბრის თარიღით, რომლის ორი მთავარი პუნქტის მიხედვით [illegible] შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიღწეულ იქნეს [illegible] ნეიტრალურ ზონაში და სრუტეებში წინსვლის შეჩერებით და მათი გადაზიდვით სრუტეების საშუალებით.

უცხოეთი

გერმანიის პროტესტი

ბერლინი. ბუდაპეშტში მყოფმა გერმანიის რწმუნებულმა გადასცა ჰუნგრეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერებს და მონარქისტებს მჭიდრო კავშირი აქვთ ჰუნგრეთის რეაქციონერ წრეებთან და იღებენ მათგან დახმარებას. გერმანიის მთავრობა მოითხოვს ამომწურავ განმარტებას ჰუნგრეთის მთავრობისაგან და გამოსთქვამს იმედს, რომ ჰუნგრეთის მთავრობა მომავალში ნებას არ მისცემს გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერებს თავი მოიყარონ ჰუნგრეთის ტერიტორიაზე. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ ჰუნგრეთის მთავრობას არ აქვს უფლება გაუწიოს დახმარება გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერ ელემენტებს, მაგრამ მათი დაშვება ჰუნგრეთის ტერიტორიაზე უდრის მათთვის დახმარების აღმოჩენას.

შუა ევროპის კრიზისის გამწვავება

ბერლინი. გაზ. „ნაციონე" შესაძლებლად სთვლის სამხრეთ-სლავიის ჯარების შესვლას ავსტრიის საზღვრებში. ეს შესვლა შეიძლება დამთავრდეს შტირიის და კარინტიის დაკავებით. იტალიის მინისტრთა საბჭო უნდა მოელოდეს ამ გვარ ოკუპაციის შესაძლებლობას.

გაზ. „როტეფანეს" მოყავს ეს ცნობა და დასძენს „ავსტრიის კრიზისი იღებს მოულოდნელ მიმართულებას და მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ცნობას სამხრეთ სლავიის შეტევის შესახებ, აქვს ტენდენციური ხასიათი, მაინც იტალიის პოზიცია ამჟღავნებს მდგომარეობის სირთულეს".

რომში სამხედრო მინისტრი აწარმოებს მოლაპარაკებას ავსტრიის დაცვის შესახებ მცირე ანტანტის მომავალი თავდასხმისაგან.

გაზ. „ზალონენს" სიტყვით ავსტრიის მთავრობამ დახმარება სთხოვა იტალიას. იტალიის იმპერიალიზმი და მცირე ანტანტის სახელმწიფოები ებრძვიან ერთმანეთს ავსტრიის ლეშის ხელში ჩასაგდებად იმ დროს, როდესაც სამხრეთ-სლავიის ზურგში სდგას საფრანგეთი და ინგლისი [illegible] იტალიის გამარჯვება.

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის 35 წლის თავი

ბერლინი. გაზ. „სოციალ-დემოკრატიონ" სწერს: „ნორვეგიის მუშათა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერს კომუნისტურ ინტერნაციონალს იდღესასწაულა 35 წლის იუბილე. გერმანიის კომუნის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

ნორვეგიის მუშათა პარტია არის მე-3 კომინტერნის ერთი უძველესი სექცია.

ნორვეგიის მუშათა კავშირებმა, როგორც ვიცით, მხარი დაუჭირეს წითელ ინტერნაციონალს.

რუსეთი

ამხ. ლენინი.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. გახსნილ ყრილობაზე (დამახინჯებულია).. რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა რადეკი, რომელმაც განაცხადა, რომ ამხ. ლენინი დღეს ხვალ შეუდგება მუშაობას სახალხო კომისართა საბჭოში.

უკრაინის ჯარების შორის.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. უკრაინის ჯარების მთავარ-სარდალმა ფრუნზემ მოახდინა უკრაინის ჯარების დათვალიერება. ჯარს ეტყობა სრული მომზადება.

სამკურნალო ტალახი.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. პეტროვსკის მახლობლად აღმოაჩინეს სამკურნალო ტალახის დიდი ფენები, რომელთაც აქვთ უმაღლესი რადიო აქტივობა.

არჩევნები ქალაქის საბჭოში.

მოსკოვი 3 ოქტომბერი. [illegible] ნსკში და ირკუტსკში დამთავრდა ხელ-ახალი არჩევნები ქალაქის საბჭოებში. არჩეულ კომუნისტების რიცხვი უდრის 90 პროცენტს.

პრესის მოღვაწეთა შორის.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. მოსკოვში გაიხსნა პრესის მუშაკთა ცეკას პლენუმი ბუხარინის მოხსენებით, რომელიც შეეხებოდა პრესის ამოცანებს და ახალ პირობებს. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენმა პრესამ უნდა დაიჭიროს მოწინავე ადგილი. ჩვენს წინააღმდეგ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან უნდა ვაწარმოოთ ენერგიული ბრძოლა.

საბჭოთა მართლ-მსაჯულება.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. პეტროგრადის რაიონის გზის ტრიბუნალმა მოუსაჯა აგენტს მექრთამეობისათვის დახვრეტა.

ქირურგებისა და თერაპევტების ყრილობები.

მოსკოვი. ოქტომბრის 3 ს დაიხურა რუსეთის ქირურგებისა და თერაპევტე-

სადღეისო მუსაიფი

III.

მეცხრამეტე საუკუნის დაწყებისთანავე საქართველოში უხეშათ და ძალ-მომრეობით შემოიჭრა რუსთ-ხელმწიფობა. ეს ტერმინი ნ. ბარათაშვილს ეკუთვნის. ხელ-გამოჭრილი ტერმინიც არის ამ ძალის დასახასიათებლად, რომელიც რუსობის შემოსვლისთანავე ჩვენში გაბატონდა და ფართოდ იწყო. ეს რუსთ-ხელმწიფობა სრულებით შეიცავს და ამოწურავს მაშინდელ რუსულ ბიუროკრატიზმისას, რადგან რუსთ-ხელმწიფე მამათავარი, სულის ჩამდგმელი და მესვეური იყო ცივისა და დაუნდობელი ბიუროკრატიზმისა. იგი ბიუროკრატია უხეში, ტლანქი და უნამუსო მოქმედი იყო თვით რუსეთში. ამ ბიუროკრატიას არავითარი არც დანდობა და არც ნდობა რუსის ხალხისა არა ქონდა. ამიტომ რაღა გასაკვირველია, რომ ეს რუსთ ხელმწიფობა ჩვენში იმ გვარსავე ხასიათს გამოიჩენდა, რა ხასიათისაც იგი თვით რუსეთში იყო; იმ შინაარს გამოამჟღავნებდა, რა შინაარსიც მას ქონდა და იმ პოლიტიკას, ეკონომიურს და სოციალურს, აწარმოებდა, რა პოლიტიკის აღმსრულებელი იყო იგი თვით რუსეთში.

ამ რუსთ ხელმწიფობის ხასიათისა და საქციელის შესახებ საქართველოში სხვა დროს და სხვა სტატიებში გამოთქმული მაქვს ჩემი აზრი, და აშკარა ფაქტებიც მოყვანილი და დასახელებული მაქვს. ამიტომ ამის აქ ხელ-ახლავ აღნიშვნა და გამეორება საჭიროთ არ მიმაჩნია. ხოლო აქ საგულისხმო ის არის, რომ ამ უხეშმა და უნამუსო ხელმწიფობამ გათელა ქართველი ერის თავმოყვარეობა და მას, ქართველს, ყოველი პატივი აჰყარა. ამიტომ ამ ხელმწიფობამ ქართველი მამულიშვილის გული ააშფოთა და იგი სული განმსჭვალა სურვილით, რომ ამ ხელმწიფობის მძიმე უღელი კისრიდან მოეშორებინა, გადაეგდო. ამიტომ აქ თავი იჩინა ერთგვარმა შეჯახებამ, ამ გარემოებამ კი გამოიწვია ის სულიერი განცდა და მისწრაფება, რომელიც ასე [illegible] ახასიათებს მეოცდაათე და მეორმოცე წლების ჩვენი მოღვაწების თაობას, იმ თაობას, რომლის სულის-კვეთების სრული გამომხატველია ჩვენი საყვარელი და სათაყვანებელი მგოსანი ნ. ბარათაშვილი.

ჩვენ ვიცით, რომ ეს სულისკვეთება უმადური იყო ამ ხელმწიფობისა და მას წინააღმდეგობას უწევდა. ამიტომ აქ, ამ ფარგლებში, ამ თაობის მიერ წარმოებული მოქმედება პროგრესიული მოქმედება იყო, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა და აუძლურებდა ამ ხელმწიფობას, ამ ბიუროკრატიას, რომელიც სულთამხუთავის როლს თამაშობდა თვით რუსეთში და რომელსაც ამიტომ შეეჯახნენ დეკაბრისტები და დეკაბრისტების იდეალთა აღმსარებელი თაობა. ამიტომ ჩვენი მოღვაწების ასეთი მოქმედება თითქმის შეთანხმებული იყო რუსეთის იმ დროის მოღვაწეების მოქმედებასთან, რადგან ერთისა და მეორის მოქმედება მიმართული იყო იქით, რომ ხელმწიფობა ბიუროკრატიზმისა შესუსტებულიყო და ძლეულიც ყოფილიყო. აქ, მაშასადამე, ერთ მტერს ორი მხრით ფრონტი ქონდა გამართული და ამ ერთ მტერზე ორი მხრით თავდასხმა სწარმოებდა. ერთს უნდოდა მოეშორებინა რუსთ-ხელმწიფობა, ე. ი. იგივე დაუნდობელი, გაუტანელი და ცივი ბიუროკრატიზმი, მაგრამ ამავე დროს ამ ბიუროკრატიზმის მოსპობის მოსურნე იყო დეკაბრისტების თაობაც. მართალია, ჩვენი მოღვაწების ამ მისწრაფება წმინდა წყლის პოლიტიკური ხასიათისა იყო, დეკაბრისტებისა კი პოლიტიკურისაც და სოციალურისაც, რადგან დეკაბრისტებს და დეკაბრისტების იდეალთა აღმსარებელ თაობას აღტყინებდა და აცისკროვნებდა ორი სურვილი: ბიუროკრატიის ხელთაგან ძალა-უფლების გამოტაცება და სრული ლიკვიდაცია ბატონ-ყმობისა, მაგრამ, ამ სხვა და სხვა მისწრაფების მიუხედავათ, მიზანი მაინც ერთი იყო, მტერი ორთავეს ერთი იყო, რომელსაც თავგანწირვით ებრძოდა ერთიც და მეორეც. [illegible] ორივე ერთ წერტილში მომარჯვებით სცემდა და ურტყამდა. ამიტომ ეს ორი მხრით წარმოებული მოქმედება შეთანხმებული იყო და ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართული. ამიტომ ეს მოქმედება ერთისაც და მეორისაც პროგრესიული იყო, თუმცა ეს ორი მოქმედება სხვა და სხვა მიზანს ისახავდა.

ქართველ მოღვაწეთა მოქმედება წმინდა წყლის ეროვნული მისწრაფება იყო; ეს მისწრაფება მიმართული იყო იქით, რომ ქართველი ერისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ეს თაობა როდი ითვალისწინებდა, რომ ამ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულია ერის უმრავლესობის ინტერესი, იმ უმრავლესობისა, რომელიც სულს ღაფავდა და გმინავდა ბატონ-ყმობის მძიმე უღლის ქვეშ. დეკაბრისტებს კი, როგორც ზევით აღვნიშნე, ორი მიზანი ქონდა გათვალისწინებული: ძალა უფლების გამოტაცება და იმის ხელით ჩაგდება ამათ სურდათ სწორეთ მეორე მიზნისათვის, ბატონ-ყმობის სრული ლიკვიდაციისთვის. ასე სხვა და სხვა იყო მიზანი ქართველთ მოღვაწეთა და დეკაბრისტებისა. მაგრამ ეს მაინც არ ქმნიდა შესაძლებლობას ამათ გათიშვისას და უნდობლობისას, რადგან იმ ხანათ ორივე ერთის მტერი იყო. ამიტომ ამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ, რადგან დეკაბრისტთა მოღვაწეობა თვალსაჩინო და მისაწონი იყო, იმგვარათვე თვალსაჩინო და მისაწონია ქართველ მოღვაწეთა ოცდაათისა და ორმოცი წლების მოქმედება, რომელიც ესწრაფვოდა ქართველი ერის განთავისუფლებას რუსთ ხელმწიფობისაგან.

მაგრამ ბიუროკრატიამ სიმკაცრით და დაუნდობლობით სძლია დეკაბრისტებს. ესენი ზოგი ჩამოახრჩო, ზოგი კი ცივი ციმბირის უდაბნოებში ან დაალპო, ან ტვინი და გული იქ გაუყინა მათ. ამიტომ იგი ბიუროკრატია, ნიკოლოზ პირველის მესვეურობით, სრული ძლევამოსილი შეიქნა რუსეთის ტერიტორიაზე. ამ გვარათვე გაცამტვერა ბიუროკრატიამ ჩვენი მოღვაწეების თაობა და ამ თაობას აღტყინებული სული გაუტეხა. დაიწყო კადნიერი ფარფაში და აღვირახსნილი თვითნებობა ნიკოლოზ პირველისა. მაგრამ სწორეთ აქ გაითიშა მოქმედება ჩვენსა და რუსთ მოღვაწეებისა, აქ დაშორდნენ ესენი ერთმანეთს.

რუსი მოღვაწენი მაინც არ გადრკნენ და არ შეურიგდნენ ბოროტ ბიუროკრატიას. იმ ხანათ წაგებული საქმე ამათ წაგებულად არ მიიჩნიეს. ამათ ახლა სხვა გზით დაუწყეს ბიუროკრატიას შებრძოლება, რადგან ამათ პატიოსან გულს არც მიკარებია ბიუროკრატიისადმი ნდობა და დაყვავება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მოღვაწეობა და მოქმედება ორმოციანი წლების თაობისა, რომლის სულის ჩამდგმელი იყვნენ ბელინსკი, გერცენი და საერთოდ სტანკევიჩის წრე და რომელმაც მოამზადა ნიადაგი სამოციანი წლების მოღვაწეობისა და რეფორმისა. ამ თაობამ ჰანიბალისებური მტკიცე ფიცი დასდო, როგორც ამას ტრადიცია მოგვითხრობს, რომ, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მაინც უნდა მოესპო რუსეთში აღმაშფოთებელი დამცირებელი ბატონყმობა და თვითნებობა, ბიუროკრატიისათვის კი ფრთები პარპაშისა ძალზე შეეკვეცა. ამ განზრახვით აღტყინებულ რუსთ მოღვაწეთა პროგრესიული მოქმედება ერთ წუთსაც არ შეჩერებულა. ეს მოღვაწენი გამუდმებით კრიტიკში უდგენ ნიკოლოზ პირველის რეჟიმს და მის დამხობას ცდილობდენ. მართალია, ეს მოქმედება ცხადი და აშკარა თავდასხმა არ იყო, როგორც დეკაბრისტებისა. ამიტომ ეს მოქმედება მინელებული, მიჩქმალული იყო, ცხოვრების ზედაპირზე არ სჩანდა, მაგრამ იგი მოქმედება მაინც შეუჩერებელი იყო, იგი მაინც ამზადებდა თავდასხმას ბიუროკრატიაზე და საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა ახალი გამოსვლებისათვის, ახალი თავდასხმისათვის. ამიტომ ეს მოქმედება იმედების აღმძვრელი იყო, სასოების მომნიჭებელი იყო. ამიტომ იგი მოქმედება იმედიანობით საზოგადოების ძარღვებს სჭიმავდა, ნერვიულობას არ აცხრობდა და სულის აღტყინებას იწვევდა მოღვაწეებში.

ჩვენში კი სრულებით სხვა ფერი და იერი მიიღო ოცდაათიანი წლების მოღვაწეთა მარცხმა. ამ მოღვაწეებმა დაწყებული საქმე წააგეს. მათი ამ მარცხით გატეხილი სული შეურიგდა ამ საქმის წაგებას. მათ თავისი თავი დაარწმუნეს და სხვებსაც არწმუნებდნენ, რომ ბიუროკრატიასთან ბრძოლა შეუძლებელია, ეს ბიუროკრატია დაუძლეველია და ამიტომ იგი ბიუროკრატია გარდაუვალი რამ რეჟიმია როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. ამიტომ ამათ ხელი აიღეს ეზრუნათ თავისი ერის განთავისუფლებისათვის და ამ ერის უფლებათა აღდგენისათვის. ამიტომ ესე-

ბის ყრილობები. ყრილობებმა აღნიშნეს, რომ რუსეთის მეცნიერების წინსვლა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს პარტახტიან სახადის გამომწვევის აღმოჩენა.

რუსეთი ლეიპციგის ბაზარზე.

ბერლინი. „როტე ფანე" ლეიპციგის ბაზრობის დაწვრილებით აღწერის შემდეგ, სხვათა შორის ამბობს იქ რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

„პირველად ლეიპციგის ბაზრობაზე, ამბობს გაზეთი, გამოდის თავისი ექსპონატებით საბჭოთა რუსეთი: ლეიპციგის ბაზრობის ვეებერთელა ზღვაში ცალკე ექსპონატები სავსებით იკარგებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა საბჭოთა რუსეთმა შესძლო გამოეჩინა თავისი სახე და თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა ბაზრობაზე. ცეკავშირის მთავარ ექსპონატებს წარმოადგენს სელი, კანაფი, პურის ჩენჩო, ტყავი, ძუა, ჯაგარი, სამკურნალო საქონელი და სხვა... მთავარ მონაწილედ ითვლება ცეკავშირი, რომელმაც დაიკავა მთელი განყოფილება რუსულ პავილიონში. ცეკავშირის გარდა ყურადღებას იპყრობს შინამრეწველობის განყოფილება. ეს განყოფილება წარმოადგენს 890 კოოპერატივისა და ცალკე წვრილ წარმოებათა კავშირს, რომლებიც ერთიანდებიან „სევერო-კუსტარ"-ის სახელწოდებით.

განსაკუთრებით მოსჩანს ნოვგოროდის ნაწარმოები: კრუჟევა საბნები და სხვა... საგანგებო განყოფილება უჭირავს პეტროგრადის ჩამოსასხმელ ფაბრიკას, საიდაც მოიპოება ძვირფასი ხელოვნების ქვები და მხატვრული ნაწარმოები პორცელინისაგან. დიდ ინტერესს იწვევს დამსწრეებში შინამრეწველობის სათამაშოების განყოფილება. მეწვრილობის საქონლის განყოფილებაში რუსეთს უსათუოდ პირველი ადგილი უჭირავს. ლეიპციგის ბაზრობის ყველა ექსპონატები წარმოადგენენ დამტკიცებას იმისა, რომ რუსეთი გამოვიდა ლოკალის მდგომარეობიდან და მისი წარმოება ადგება დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ წარმოებათა კონკურენციის გზას.

ახალი ამბები

— **ხე-ტყის მოშენება.** ქალაქის აღმასკომის სხდომაზე დასმულია საკითხი, ტფილისის ახლო-მახლო ხე-ტყის მოშენების შესახებ, რისთვისაც საფინანსო განყოფილებას ევალება გამოძებნოს საშუალება ამ საქმის მოსაგვარებლად.

— **წისქვილების და ბინების გადაცემა აღმასკომზე.** აღძრულია შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე წისქვილები გადაეცეს აღმასკომს. აგრეთვე ყველა ბინები, რომელნიც დაკავებული აქვს სხვა და სხვა დაწესებულებებს დაუბრუნდეს აღმასკომს მოკლე ხნის განმავლობაში.

— **ინვალიდებისთვის დახმარების აღმოჩენა.** ყველა იმ ინვალიდებს, 70 პროცენტს ზევით, რომელთაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი, მიეცემა უფასო აბანო (თვეში ერთხელ), ორი ინვალიდთა თავშესაფარი მიხეილის პროსპექტზე № 133 და [illegible] ქუჩ., ეპატიება განათების ფული ხუთ-ხუთი ლამპის 25 სანთლიანი და წყლის ფული. მუშავდება სია ინვალიდებისა, რომელთაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი 90 პროც. და ზევით, რომელთაც არსებობის საშუალება არ აქვთ.—ტრამვაის უფასო სარგებლობისათვის.

— **დახმარება მსახიობ მ. ქიაურელს.** ქალაქის აღმასკომმა გერმანიაში გამგზავრებულ მსახიობ მიხეილ ქიაურელს მისცა ერთდროული დახმარების სახით ხუთი მილიონი მანეთი.

— **ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მიმდინარე ოქტომბრისათვის ხუთიდან ექვსს რიცხვზე ღამის 12 საათს, საათის ისარი გადაიწევა უკან ერთი საათით.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. [illegible].

— **კოჯორის კურორტის ნაციონალიზაცია.** კოჯორის (ქართლის რაიონის) აგარაკების ნაციონალიზაციის საკითხი გადაეცა საკურორტო კომისიას დასკვნისათვის.

— **ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა ორმოცდა ათი მილიონი მანეთი, ვენერიულ ავადმყოფობის შესამცირებლად.

— **სტუდიის ლატარია.** აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით, არსებული დრამატიული სტუდიის ლატარია გათამაშდება ამა წლის 26 ნოემბერს, რასაც საყოველთაო ცნობისათვის ამით აცხადებს ლატარიის გათამაშების საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

— **საქ. შევარდენთა კავშირის ყველა საზოგადოებების ვარჯიშთავების ყრილობა.** 25 სექტემბერს გაიხსნა ვარჯისთავთა პირველი ყრილობა. გაირჩა სპეციალურად ტეხნიკური საკითხები, შესახებ შევარდენის ზრდა განვითარებისა მთელს რესპუბლიკაში. სულ ჯერ-ჯერობით ითვლება 22 საზოგადოება შევარდენისა, მათგან რვა-საზოგადოება ტფილისშია. შევარდენთა რიცხვი შეადგენს შვიდი ათასამდე კაცს, რომელთა რიცხვში არ შედიან, რუსული საზოგადოების ,,სოკოლე''-ბი, სულ 400-მდე კაცი და 400-მდე კაცი ,,სკაუტების'' საზოგადოებიდან. ვარჯიშობანი უკვე დაიწყო 25 სექ. ტფილისში და 1 სექტემბერს პროვინციებშიაც. ყოველ კვირა დღეობით ტფილისის შევარდნულ ოლქის მიერ იმართება გაფრენები სხვა და სხვა ადგილებზე და ქალაქის პერიფერიებში. ყრილობაზე გადაწყდა წელიწადში სამჯერ ყრილობის მოწვევა ქ. ტფილისში ენკენისთვეში, იანვარში და მაისში. ყრილობას დაესწრო 20 წარმომადგენელი; თავმჯდომარეობდა კავშირის ვარჯისთავი გიორგი ეგნატაშვილი. ყრილობამ დაასრულა თავისი მუშაობა 28 სექტემბერს.

პარტიაში

პარტიული განცხადება: ტფილისის საქალაქო კომიტეტი წინადადებას აძლევს. ტფილისელ ამხანაგებს განაახლონ პარტიული მანდატები (საწევრო ბარათები) 15 ოქტომბრამდის. ა. წ. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველად გაცემული მანდატები ჩაითვლება გაუქმებულად.

მანდატების განახლება სწარმოებს ყოველ დღე პარტიის მთავარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქუჩა. № 1. ტფილისის კომიტეტის ოთახი № 1) საღამოს 7—10-მდის.

ტფ. კომიტეტი.

—

დღეს საღამოს 6 საათზე ცენტ. კლუბში დანიშნულია ახალგაზდათა კავშირის სხდომა წევრების დასწრება სავალდებულოა.

შევარდენის დაარსება ქ. ხონში *)

მარიამობისთვის 27-ს ქუთაისიდან გვეწვია შევარდნები, გამართა შრომის სკოლის ეზოში საჯარო ვარჯიში, რის შემდეგ თეატრის დარბაზში მოწვეული იყო ამ საქმით დაინტერესებული საზოგადოება, რომელიც, დიდათ დაინტერესებული შევარდენით, მოაწყდა თეატრის დარბაზს. აქვე მოგვყავს ხონის შევარდენის დამფუძნებელ კრების ოქმი. კრებას დაესწრო ოთხასი კაცი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იყო კომპარტიის პასუხისმგებელი მდივანი მოქ. გიორგი ბახტაძე, მდივნათ პედაგოგიურ ტეხნიკუმის გამგე მოქ. ნიკოლოზ ქუთათელაძე.

კრების დაწყებისას თავმჯდომარე მოქ. გიორგი ბახტაძე მიესალმება შევარდენთა საზოგადოების გახსნას ხონში; უსურვებს რა საზოგადოებას განვითარებას, ფესვების ღრმათ გადგმას, რომ მომავალში მთელი საზოგადოება და ახალგაზრდობა შეკრეფილი იყოს მის ორგანიზაციებში. თავმჯდომარე აღნიშნავს შევარდენთა საზოგადოების მნიშვნელობას ფიზიკურ აღზრდაში და კერძოდ საბჭოთა ხელისუფლების ღვაწლს ამ საქმეში, რომელიც არავითარ ხარჯს არ ერიდება და შევარდენთა ორგანიზაციების შექმნას ხელს უწყობს უფრო ფართოდ, ვიდრე ეს წინეთ იყო. თავმჯდომარე უსურვებს რა ახალ საზოგადოებას გამარჯვებას, გადადის მორიგ საკითხზე, ძმა მიხეილ გიორგაძე (ქუთ. შევარდენი 1 ის ვარჯიშთავი) თავის სიტყვაში აღნიშნავს ძმად. ჯავრიშვილის მუშაობას ხონში, კერძოდ იმას, რომ ქუთაისის მომავალ შევარდნულ ოლქის წარმომადგენლებს უკვე ამ წინასწარ მუშაობის გამო გაუადვილდებათ საქმე და ბევრი მუშაობა არ დასჭირდებათ. ძმა გორგაძე უსურვებს ხონის შევარდენის საზოგადოებას წარმატებას.

ქუთაისის მეორე შევარდენის სახელით მიესალმება აგრეთვე ხონის შევარდენის საზოგადოების ქუთაისის მეორე შევარდენის ვარჯიშთავი ძმა კაკო კაკაბაძე.

ვრცელ სიტყვით მიმართავს კრებას საქართველოს შევარდენთა კავშირის გამგეობის მდივანი ძმა სოსო ასლანიშვილი, რომელიც არკვევს შევარდენის მნიშვნელობას, აღნიშნავს მის დაარსების ისტორიას ჩეხეთში, რუსეთში და საქართველოში, აღნიშნავს იმას თუ რა ღვაწლი მიუძღვით ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ზოგიერთ ძმებს: ლუკავს, ეგნატაშვილს, ნიკოლაძეს, ბერელაშვილს და სხვ. ორატორი უხსნის, თუ რამდენ დაბრკოლებასთან სჭირდებათ ბრძოლა ორგანიზატორებს, თუ რა გასაჭირს გახიცდიდნენ ხშირად სხვა და სხვა მოღვაწეები, მაგრამ გატაცებულ იმ მაღალ იდეალით, რომლის მატარებელიც შევარდენის საზოგადოება არის, ისინი იბრძოდენ, ეხლაც იბრძვიან და ამიტომ დამარცხება არასოდეს არ განუცდიათ. ორატორი იმედოვნებს, რომ მთელი საქართველო შეიქმნება შევარდენი; რომ თვით ეს ცნება ბუნებრივად უნდა გაფართოვდეს და მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღორძინების მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროთ, ამ საზოგადოებამ უნდა იხსნას ხალხი ფიზიკურ განადგურებისაგან, ეს საზოგადოება უნდა შეიქმნეს „ერის გუშაგი", ამ სიტყვის მაღალ და სრულ მნიშვნელობით. ორატორი უსურვებს ხონის შევარდენის საზოგადოებას წარმატებას.

მთელი საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით იზიარებს ორატორის ამ ნაირ გრძნობებს.

შემდეგ აჭარის შევარდნულ ოლქის ვარჯიშთავი და ხონის შევარდენის დროებითი ვარჯიშთავი ძმა დათა ჯავრიშვილი მოკლეთ აცნობს კრებას შევარდენის საზოგადოების წესდებას: ორატორის წინადადება საბჭოს შემადგენლობის შესახებ უკამათოდ მიიღო კრებამ; საბჭო უნდა შესდგეს 12 კაცისაგან; თავმჯდომარე, მისი მოადგილე (ამხანაგი), შვიდი საბჭოს წევრი და სამი სამეადგილე. საკითხი გადასახადის შესახებ და სამხილაო კომისიის არჩევა გადაეცა მომავალ საბჭოს გადასაჭრელად.

კრების დამთავრებისას მოხდა არჩევნები ახდილი კენჭის ყრით. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პედაგოგიური ტეხნიკუმის გამგე ნიკოლოზ ქუთათელაძე, მის ამხანაგად შრომის სკოლის გამგე ვალერიან მებუკე, საბჭოს წევრებათ. შევარდენის პოლიტიკური ხელმძღვანელი ჩაქოვანი ბარნაბა, ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის გამგის მოადგილე სალარიძე გრიგოლი, კომპარტიის პასუხისმგებელი მდივანი გიორგი ბახტაძე, ალექსანდრა ფარცხალაძის ასული, ქუთათელაძის ასული თინათინი; სამეადგილეებათ: მესამე სკოლის გამგე ბახტაძე ანდრია, მკურნალი ჩხიკვიშვილი პოლიკარპე და [illegible]შვილი ნესტორი.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილი განცხადება ცეცხლ-მქრობელთა განწევრის დაარსების შესახებ ხონის შევარდენთა ერთხმად მიღებულია.

რომ ვარჯიშთავათ გამოგზავნილი იქნება ქუთაისის შევარდენის წურთვნელი ძმა ქებულაძე მიხეილი, მიღებული და დამტკიცებულია.

წინადადება, რათა საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, თამრო ნიკოლაძის ასული, ვლადიმერ ჯიქია, დათა ჯავრიშვილი ერთხმად მიღებულია.

დამსწრეთაგანი.

---

*) რედაქციის დამოუკიდებელ მიზეზების გამო, წერილი დაგვიანებით იბეჭდება.

განათლების მუშაკთა სახლში

პარასკევს, სექტემბრის 29-ს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა პედაგოგიური სექციის პირველი საერთო კრება. მასწავლებლობა ბლომად დაესწრო. პედაგოგიური სექციის დროებითი ბიუროს მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, მოხსენებას აკეთებს მელიქ-შახნაზაროვი განათლების მუშაკთა სახლის და მომავალში მუშაობის გეგმის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, მუშაობის გეგმა ძლიერ ფართოა. ის 9 ქვესექცია, რომელიც დღეის იქით შეიქმნება პედაგოგიურ სექციასთან, ახალ ასპარეზს შლის მასწავლებელთა მუშაობისათვის და როგორც ექსპერიმენტალური პედაგოგიკიდან, ისე შრომის სკოლის პრინციპებიდან მრავალი ბურუსიანი ადგილი გამოირკვევა ჩვენთვის, ისე როგორც სხვა მრავალი მომუშავისათვის.

ამის შემდეგ მოკლე მოხსენებას აკეთებს ქ-ნი შიმშკევიჩი თემაზე: „შრომის სკოლის მიღწევანი და მომავალი მუშაობის გზები".

მოხსენება თუმცა მოკლე იყო, მაგრამ მაინც მრავალი საყურადღებო საკითხს შეეხო და აღძრა თითქმის ყველა ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას შრომის სკოლის აღორძინებას.

იმ მრავალ საკითხებიდან, რომელიც წამოყენებულ იქმნა მომხსენებლის მიერ საყურადღებო იყო ჩვენთვის ერთი, ან ორი საკითხის დასმა და მისი განვითარება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საერთო დებატებით მისი სავსებით ამოწურვა, ეხლა კი საკითხი მრავალი იყო და დისპუტში მონაწილეთ არ შეეძლოთ რომელიმე საკითხზე ფართო გარჩევა და ნათლად გარკვევა პრაქტიკული თვალსაზრისით.

ეს მოხსენება შეიძლება ჩაითვალოს შესავალ მოხსენებათ შემდეგი მუშაობისათვის.

მოხსენების გარშემო კამათის დასრულების შემდეგ, ხალხი ქვესექციებში ჩაეწერა.

ყველა იქ დამსწრე პედაგოგი სხვა და სხვა ქვესექციებში ჩაეწერა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ქვესექციების ნაყოფიერი მუშაობა საუკეთესო რეზულტატებს მიაღწევს. **განათარი.**

სახალხო კომისართა საბჭოში

სოფლებში შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შეცვლა.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის № 145 დადგენილების თანახმად, შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და წარმოუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა 1922 წ. შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შეცვლის დეკრეტის განხორციელების შესახებ სოფლად ადგილებში. პროექტით განზრახულია აკრეფილ იქნეს შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი სოფლებში ფულად იმ მოქალაქეთა და მუშა საქონლის მეპატრონეთაგან, რომელთაც არ მოუხდიათ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი ნატურალური საშუალებით. ფულადი გადასახადი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ერთი სამუშაო დღის მაგიერ, ნატურ გადასახადის გამღებთათვის განისაზღვრება 6 გირვ. ხორბლისა და 10 გირვ. სიმინდის ადგილობრივი ღირებულების ოდენობით, ხოლო ტვირთზიდვის გადასახადის მომხდელთათვის ფულადი გადასახადი მუშა საქონლის ერთეულის მაგიერ განისაზღვრება 20 გირვ. ქერისა და 20 გირვ. თივის ღირებულების ოდენობით. აკრეფილი თანხები შეტანილ უნდა იქნენ სამაზრო ადგილობრივ ხაზინაში და განაწილებულ იქნებიან სახალხო კომისართა საბჭოს № 45-ს დადგენილების თანახმად. შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ფულადი ეკვივალენტისაგან სრულიად თავისუფლდებიან ის მოქალაქენი და მუშა საქონლის პატრონნი, რომელნიც მოხსენებული არიან შრომის სახალხო კომისარიატის № 5 დადგენილებაში „შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადისაგან განთავისუფლებისა და შეღავათების შესახებ".

ნი შეურიგდეს ბიუროკრატიას და სავალდებულოდ მიიჩნიეს ამ ბიუროკრატიასთან თანამშრომლობა და დახმარებაც კი. ამ ბიუროკრატიასთან შესაძლებელი ახალი გზები ვერ გამოსძებნეს, სხვა ფერი შინაარსი ვერ მისცეს თავის მოქმედებას და ახალი გეზიც შემოქმედებისა ვერ გაჩინეს. ამათ შეამჩნიეს, რომ რუსეთ—ხელმწიფობა, ე. ი. ბიუროკრატია საქართველოში მშვიდობიანობას ამყარებდა, მოუსვენარ მეზობელ ერებს აშინებდა და აყუჩებდა, განათლებას ოდნავ მაინც ავრცელებდა. მაგრამ ამავე დროს ეს ბიუროკრატია, არა თუ ხელუხლებლად სტოვებდა წოდებათა შორის დამოკიდებულებას, ამ დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამწვავებდა თავად-აზნაურთა სასარგებლოთ. ეს უკანასკნელი გარემოებაც ძალზე ხელს უწყობდა, რომ ჩვენი ერის მაშინდელ მესვეურებს, ოცდაათიანისა და ორმოციანი წლების თაობას, რომელიც პირწმინდა [illegible] თავად-აზნაურული იდეოლოგიის მატარებელი იყო, აგუებდა ბიუროკრატიასთან და ქმნიდა მასში ასეთი შეგუებისა და თანამშრომლობის სულიერ განცდას. ამ მიზეზთა გამო ეს თაობა შეურიგდა და მიენდო ბიუროკრატიას, მის დახმარებლათა და გასამტკიცებლად ამუშავდა და ამოქმედდა. ასეთი სულის კვეთების პატრონნი და გამომჟღავნებელი შეიქმნა ნ. ბარათაშვილის თაობა, რომლის ორგანო იყო „ცისკარი". „ცისკარ"-მა და მის გარშემო შემოკრებილმა მოღვაწეებმა ხოტბა დაუწყეს რუსეთ ხელმწიფობას, აქებ-ადიდებდნენ მას და იგი ჩვენი ცხოვრებისათვის პროგრესიულ ძალათ და მოვლენათ აღიარეს. მაგრამ რუსეთ-ხელმწიფობის ასეთი შეფასება იყო ძირითადი უსამართლობა და დიდი შეცდომა. ნ. ბარათაშვილის თაობამ ვერ შეიგნო, ვერ მიხვდა, რასაკვირველია, თავისი მოუმ[illegible] გამო, სოციალურისა და ისტორიული ფაქტორების გარკვევის საქმეში, რომ ის სიკეთე, რომელსაც რუსთ-ხელმწიფობა აძლევდა ჩვენს ერს, რუსთ ხელმწიფობის მიზანი და მოწადინებული კი არ იყო, არამედ ეს იყო შედეგი იმ შინაგან ძალთა დუღილისა, რომელსაც რუსეთის საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა და რომელსაც ასეთი თავგანწირვით აწარმოებდა რუსთ მოღვაწეთა თაობა ორმოციანისა და ოცდაათიანი წლებისა. სწორედ ეს შეუგნებლობა და შეუმჩნევლობა იყო საბედისწერო და ამ შეუგნებლობამ დააშორა ერთმანეთს ჩვენი და რუსი მოღვაწეები. მაშინ, როცა რუსი მოღვაწენი პროგრესიულ ძალას წარმოადგენდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული რუსთ-ხელმწიფობასთან, ჩვენი მოღვაწენი ამ ხელმწიფობას მიენდნენ, იგი პროგრესიულ ძალათ აღიარეს. სწორედ ამიტომაც ისინი შეიქნენ წმინდა წყლის რეაქციის მესვეურნი და მატარებელნი. ასეთი სულიერი განცდის შედეგი კი ის იყო, რომ რუსთ მოღვაწეთა შემდგომი თაობის მოღვაწეობა მტკიცედ არის შეკავშირებული დეკაბრისტების მოღვაწეობასთან. ეს კავშირი ამ თაობათა შორის არ დარღვეულა არც ერთს წამსაც და იგი მოღვაწეობა მთლიანი ჯაჭვის გადაბმულ რგოლებს წარმოადგენს. ეს მოღვაწენი ერთმანეთზე გადაბმული არიან სულიერად და გულის-თქმით, ერთმანეთს აახლოვებენ იდეებითა და იდეალებით და მტკიცე რწმენით, რომ მომავალი მათია. ამიტომ ამ მოღვაწეთ ერთმანეთის ნდობა, პატივისცემა და თაყვანება, მოწონება ქონდათ. ჩვენი მოღვაწენი კი გარიყული შეიქნენ, შეიქნენ ცხოვრების შემბორკველ და დამთრგუნველ ძალათ. ამიტომ ამ ძალის მხოლოდ გადაგდება, მოშორება იყო საჭირო და არა მარტო პატივისცემა და მოკრძალება. მართლაც ასე მოხდა.

დადგა სამოციანი წლები. რუსეთის მთელ სივრცეზე გაისმა რეფორმების ძლიერი ყიჟინა. დაიმსხვრა მონობის ბორკილები. რუსთ მოღვაწეებმა მოინდომეს ამ რეფორმების გაფართოვება და ბიუროკრატიაზე იერიში თავდასხმითი აწარმოვეს, რომ ამ ბიუროკრატიისათვის ძალა-უფლება აეხადათ და ხელთ ეგდოთ. ამ მოღვაწეობაში ესენი ალტყინებას იძენდნენ წინანდელ თაობათა ნამოქმედარსა და ნაღვაწში. ამ მოძრაობამ ჩვენი ახალგაზრდობაც, რომელიც იმ ხანათ რუსეთში იყო უმაღლეს სასწავლებელში, აიყოლია და გაიტაცა. ეს ახალგაზრდობა მონდომებული შეიქნა, რომ ამ რეფორმების მაცისკროვნებელი სხივები ჩვენს ქვეყანაშიც გადმოტყორცნილიყო. ამიტომ ეს თაობა მხარ და მხარ ამოუდგა რუსთ მოღვაწეთ, გაიზიარა ამათი სულის-სწრაფვა და სულის კვეთება. ამიტომ ეს თაობა ბუნებრივად დაუპირისპირდა „ცისკრის" მოღვაწეებს. ეს ბრძოლა ახალ თაობამ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით მოიგო. ამიტომ ეს თაობა იყო ილ. ჭავჭავაძის თაობა, ან, როგორც მას დაერქვა გ. ერისთავის მოსწრებული გამოთქმით, თერგდალეულების თაობა. ამიტომ იმ დროს და იმ პირობებში, იმ იდეალების მიხედვით, რომელთაც ეს თაობა თვის გულ-მკერდში ატარებდა, ეს თაობა პროგრესიულ ძალას წარმოადგენდა, ცხოვრების პირობებს ხალხის საკეთილდღეოდ აუმჯობესებდა. იგი ამ მოქმედებაში დაკავშირებული იყო რუსთ მოღვაწეებთან და ამავე დროს იგი მოქმედება ქართველთათვის სიკეთის მომტანი იყო. მაგრამ თერგდალეულებს, ან ილ. ჭავჭავაძის თაობას, იგივე მოუვიდა, რაც ნ. ბარათაშვილის თაობას.

ი. ფანცხავა.

(შემდეგი იქნება)

მოწერილი ამბები

ხონის ცხოვრებიდან

ხონის გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს იმ საშინელ ეპიდემიურ ხასიათის მქონე ავადმყოფობას, რომელიც მოედო თითქმის მთელ საქართველოს და განსაკუთრებით იმ ადგილებს, რომელნიც უშუალოდ განიცდიან შავი ზღვის ანაორთქლის გავლენას. ხონის რაიონი იმ თავითვე ცნობილია, როგორც მეტად ჭაობიანი ადგილი. ამის გამო ციებ ცხელება აქაც მეტის ინტენსივობით განვითარდა, რასაც ერთის მხრით ხელს უწყობს ქალაქში და ქალაქს გარე არსებული არხების სიმრავლე. ხშირმა ტროპიკული ხასიათის მქონე წვიმებმა ამ ბოლო ხანებში გამოიწვია წყალდიდობა, რომელმაც დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა ხონის რაიონის მცხოვრებთ, როგორც ვენახეულის ნაწილობრივ განადგურებით, აგრეთვე უკვე არსებულ ციებ-ცხელების კიდევ მეტ განვითარებით. უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო მოვლენა, რომ ადგილობრივმა მართველობამ ხალხის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს ვერ აღმოაჩინა უკანასკნელთ სანიტარული დახმარება; თუმცა, სამწუხაროთ ჩვენდა, სათანადო სანიტარულ დახმარებას მოკლებულია მთელი საქართველო და თუ ასეთ მოვლენებს ფხიზელი ყურადღება არ მიექცა ჩვენი ერი დაადგება გადაშენების და დეგენერაციის გზას, რაიც უკვე აღინიშნა მცოდნე პირთაგან. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხისათვის მიუხედავად კატასტროფიულ წყალდიდობისა სანუგეშოთ რჩება ის გარემოება, რომ მოსავალი ხონის რაიონში საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს. რაც შეეხება ხონის კულტურულ აღორძინებას უნდა ითქვას, რომ აქაც მდგომარეობა უნუგეშოა. საერთოდ ჩვენში პროვინცია არ არის ორგანიულად დაკავშირებული ცენტრთან, რაიც იწვევს პროვინციის კულტურულის მხრივ ჩამორჩენას და დაქვეითებას. ხონიც უთუოდ ასეთ მდგომარეობას განიცდის. საჭიროა ენერგიული მუშაობა, რომ ის მჭიდროთ დაუკავშირდეს ცენტრს და ჩაწვდეს მის კულტურულ მაჯის ცემას სხვა და სხვა საშუალებებით. წელს ხონში თითქმის არც ერთი საყურადღებო ლექცია, მიტინგი—საჯარო სჯა-ბაასი არ გამართულა, ურომლისობაც ხელს უწყობს საზოგადოებრივ აზრის ერთ წერტილზე გაყინვას. სათეატრო სეზონი ხელით ჩაუვარდათ მოუმზადებელ და უკულტურო პირთ—„სპეკულანტებს“ და რასაკვირველია ასეთი „თეატრების“ საშუალებით ხალხის ზნეობრივ გადაქიზებაზე და აღზრდაზე ზედმეტია ლაპარაკი. სამარცხვინოთ დღესაც წარმოდგენები იმართება ისეთ შენობაში, რომელიც უფრო წააგავს „თავლას“ ვინემ თეატრს, როგორც ასეთს. ასეთ უკულტურობის დროს ხონის საზოგადოება იძირება ისედაც ჩაფლულ „მეშჩანობის წუმპეში“ ქ. ხონი ცნობილია ისეთ ქალაქათ, რომელიც თითქოს მისდევდეს მეტის მეტ ინტენსივობით სწავლა-განათლებას; სამწუხაროთ, ცხოვრების ღრმა დაკვირვება გვიშლის სრულიად საწინააღმდეგო სურათს. ხონის დღევანდელ სახ. გ.ნ. განყოფილებას არა აქვს სათანადოდ დაყენებული და გათვალისწინებული სწავლა-განათლების საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიიღებდა ზომებს ვაჟთა ტექნიკუმის და პედაგოგიურ ტექნიკუმის შეერთების საქმეში მეტ ობიექტიური დაკვირვებას და სპეციალ ცოდნით აღჭურვილ მასწავლებელთა მოწვევას ტექნიკუმებში.

სანამ პედაგოგიური ტექნიკუმი არსებობს მანამდე შეუძლებელია მისი სხვა ტექნიკუმთან შეერთება და საერთო გამგის დანიშვნა, ვინაიდან ფუნქცია პედაგ. ტექნიკუმისა არსებითად განსხვავდება გიმნაზიისაგან.

პედაგოგიური ტექნიკუმი მოითხოვს განსაკუთრებულ გამგეს, სათანადო დიდაქტიური და პედაგოგიური ცოდნით აღჭურვილ პირს. ასეთი გამგე მას ჰყავდა. დღეს უკანასკნელი გადაყვანილია ქუთაისის ვაჟთა მეხუთე ტექნიკუმის გამგეთ. (ყოფილი კლასიკ. გიმნაზია), რაიც დიდი დანაკლისია ხონისათვის როგორც კულტურული ძალის.

ხონის სახ. გან. განყოფილებას არ აღმოაჩნდა ამ პირის დაფასების უნარი, რაიც გამოიხატა მით ინერტულ პოზიციის დაჭერაში. აქ ისინი უმთავრესად სარგებლობდნენ ალბად წვრილმან ინტრიგანობით, ჭორიკანობით, რაიც თან დაყოლილი თვისებაა საერთოდ წვრილფეხა ბურჟუაზიისათვის. ხონის სახ. განათ. საქმე შეფერხდა ძალზე განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც მას მოაკლდა ერთად ერთი კულტურული ძალა, უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული პირი, ხონის ყოფილი რევკომის თავმჯდომარე და სახ. გან. ხელმძღვანელი ამხ. ვ. ბახტაძე, რომელიც გადაყვანილ იქმნა ქუთაისში სახ. გან. განყ. გამგეთ. მისი მოადგილე ამხ. ნადარეიშვილი, ყოფილი სოფლის მასწავლებელია და უკანასკნელის ნიჭი მჟღავნდება უფრო ადმინისტრატიულ დარგში, რასაც ის, უნდა ითქვას, პირნათლად და ენერგიულად ასრულებს.

ასეთია მოკლეთ ხონის უახლოეს დროის ყოფა-ცხოვრება. როგორც ვხედავთ დადებითი რამ აღნიშნულ მოვლენებში არაფერია და მხოლოდ ერთად ერთი მნიშვნელოვანი და კულტურულ მომენტად ხონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამ უკანასკნელ ხანებში უნდა ჩაითვალოს ე. წ. სატანვარჯიშო საზოგადოების: „შევარდენის“ დაარსება. განუზომელია მნიშვნელობა ამ საზოგადოების ჩვენი ხალხისათვის, ამ საზოგადოების წინ იშლება გრანდიოზული მიზანი: ერის ფიზიკურად გაჯანსაღება და დეგენერაციის წინააღმდეგობა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილი სატანვარჯიშო საზოგადოების დაარსება დასავლეთ საქართველოში და კერძოთ ხონში, სადაც კლიმატიური თავისებურება ნიადაგს უმზადებს ციებ-ცხელებას, ჭლექს და სხვა ავადმყოფობებს, რომელნიც განსაცვიფრებელ პროცენტს იძლევიან აღნიშნულ მხარის მცხოვრებთ შორის. ვუსურვებთ ხონის საზოგადოებას უკეთეს მომავლისაკენ წინსვლას და გამოვსთქვამთ იმედს, რომ ის შეცდომები, რომელნიც დაშვებულ იყვნენ წარსულში, მომავალში არ განმეორდებიან.

ხონის მეთვალყურე

თეატრი და ხელოვნება

ხარიტონ ვარდოშვილის საღამო ქუთაისში

ხუთშაბათს, სექტემბრის 28-ს ქ. ქუთაისში, მწერალთა სახახლეში გაიმართა პოეტ ხარიტონ ვარდოშვილის პოეზიის საღამო.

ხარიტონ ვარდოშვილი საკმაოდ ცნობილი ნიჭიერი მგოსანია. მის ლექსებში სჩანს, რომ ის სერიოზული ძალაა ჩვენი ახალი პოეზიის წარმომადგენლებს შორის. ის გზა, რომელსაც იგი ადგია, ჭეშმარიტად პოეზიის გამარჯვებისაკენ მიდის. მისი თემა—ფრიად ორგინალურია—თავისებური. აქ ყველაზე უფრო ერჩევა მისი ლექსების სერია: სამხოვარი სულისადმი (რომელიც ჩინებულად წაიკითხა მსახიობმა ვიქტორ მატარაძემ) და ფიქრები ჩემზე. ლექსებში: სამხოვარი სულისადმი სჩანს დიდი სიღრმე და განცდა—აქ ყველაზე უფრო იმარჯვებს პოეტი და თუ ასე განაგრძო, მოსალოდნელია უკეთესი მიღწევები. მართალი იყო დია ჩიანელი და ს. ყიფიანი, როდესაც ეს ღირსება ვარდოშვილის ლექსებისა საკმაო დაკვირვებით და გულწრფელი სიყვარულით აღნიშნეს.

დია ჩიანელის თქმით: არც ერთ ახალგაზრდა პოეტს არ განუცდია ღამეები და არ გადმოუცია მისი იდუმალება ისე—როგორც ვარდოშვილსო,—მართალია, თუმცა ამ თემას ძლიერად შეეხო ჩვენი ცნობილი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეც.

დია ჩიანელის და ს. ყიფიანის სიტყვების შემდეგ, თვით ვარდოშვილმა წაიკითხა შინაარსიანი და საინტერესო მოხსენება ჩვენი ახალი პოეზიის შესახებ. მოხსენებით კმაყოფილი დარჩა საზოგადოება და თვით მონაწილე მწერლები—მოხსენების შინაარსი—გამართლებულია პოეზიის უკანასკნელი მოვლენებით.

საღამოს პროგრამა ორგინალური და საინტერესო იყო. ყველაზე უფრო ჩვენ მოგვეწონა ჩვენი საყვარელი პოეტის მამია გურიელის მხცოვანი ძმა ტელემაკ გურიელი, რომელმაც შეუდარებელი სიყვარულით წაიკითხა თავისი ძმის მამიას ლექსები და დაუკრა ჭიანურზე.

ხარიტონ ვარდოშვილმა წაიკითხა სამი ლექსი—ჩვენ მოგვეწონა უკანასკნელი ყველაზე უფრო—ლექსებს ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა. საღამო ფრიად შინაარსიანი იყო და ხალხიც კმაყოფილი დაიშალა ღ. მის 12 საათზე.

ვ. ქ.

ბიბლიოგრაფია

(იასამანი. ტომი I. ფასი 60.000 მ.)

იასამანი 1904 წ., ასე წოდებულ, გამათავისუფლებელ მოძრაობის ცისკრის ამოსვლაზე გაჩენილა. მის მწერლობით მუშაობას, ამიტომაც ხანმოკლე მანძილი აქვს. უთუოდ ესაა მიზეზი, რომ მას, ი. მჭედლიშვილივით, საკუთარი ძლიერი ქართული სტილი ვერ შეუქნია.

ავტორის პირველმა ლექსმა—„ტბამ“, რომელიც თბილი გრძნობის ნაპერწკალით და სათნო აზრითაც დაწერილია, სურვილი აღმიძვრა თავიდან ბოლომდი წამეკითხა მისი ნაწერი. მაგრამ ნაწერის ორ მესამედზე მეტი კრიტიკის ღირსი არ არის, უფრო კი სიძლიერითაც და მუსიკითაც 1917 წ., რევოლიუციის შემდეგ, დაწერილი ლექსებია: „დედა“, „თავისუფლებას“, „ჯაშუში“, „ირაკლი წერეთელს“, „ხვალ“, „საქართველოს“, „პირველ მაისს“, „საქართველოს თავისუფლებაზე“, „დედა-ქალაქი“, „ძერა“, „შახსეი-ვახსეი“, „შემოთენება“, „მწუხრი დედა ქალაქში“ და სხ.

ჩამოთვლილი ლექსები გვიმტკიცებს, რომ ავტორს პოეტური ტემპერამენტი აქვს. მარა ეს პოეტური ტალანტი ჯერ პირველ საფეხურზეა და მას დიდი, ხანგრძლივი გულის დადება, ვარჯიში და ნაზი აღზრდა უნდა, რო გაიშალოს, ახალ ნოვატორობის გზას დაადგეს, ძველი შაბლონი არ იმეოროს და თავისუფლათ ინავარდოს ქართული ლირიკის წიაღში.

ავტორმა სალიტერატურო კრიტიკას, მიუცილებლათ, წმინდა დამოუკიდებელი სალიტერატურო მხატვრული ლირიკის მახვილ გონიერი ნაწარმოები უნდა მისცეს, რომ მისი ესთეტიური არსებობის უფლება ქართულ ლიტერატურაში გულწრფელათ აღიაროთ. ფორმით და შინაარსით სუსტი ლექსები დღევანდელი მკითხველის გრძნობა—გონებას ვერც გაამდიდრებს, ვერც გააცოცხლებს. ადამიანის ღრმა აზრი და უტყვი ბუნების დაფარული საიდუმლოების უცნაურობა ჯერ გაუგებარია იასამანისათვის. საკუთარი სულის ფილოსოფია და აღტაცებული მკვეთრი პოეტური აღმაფრენაც ვერ მოისყიდის მისი ლექსების მკითხველს.

ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები თეორეტიულ ახსნა-განმარტებასაც არა თხოულობს, იგი თავის ღირსებას თვით აღიარებს თავისთავადაც. თავისუფალი ქართული ლირიკა მაშინ არის მისაღები დღეს, როცა მისი ფორმა და შინაარსი, იმისი სტილი ბროლივით ნათელია და ფოლადივით ძლიერი, მკვეთრი, ნაზი და ნარნარი...

მართალია, ძლიერი, მკაზნებარე ქართული სიტყვა და სტილი რჩეულთა ხვედრია და ყველა ჩვენგანი ხელს ვერ წავატანთ მას. პოეტი, მიუცილებლათ, სულით შვენიერი, სპეტაკი და მუსიკალური არსებაა... იასამანი გულწრფელი მწერალია და უნდა ეტრფოდეს ამ იდეალს...

ენა ავტორისა, საერთოდ, კარგია. მარა მიუღებელია ასეთი ტეტიური გამოთქმა ლიტერატურაში: ააცილევი, ჩამორეკევით, მოუძრევი, გვიპასუხევით, მიმაძინევი, სამღვთო, წააწყდე (წაატყდე უნდა), ა(ვ)უხსნი, ბოლქომი (ბოქლომი) და სხვ. წიგნი სუფთადაა გამოცემული და იაფიცაა.

ხომლელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, რომ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: ამას წინად მწერალთა კავშირის გაზეთ „ბარრიკადში“ და ჟურნალ „ლომისში“ დაბეჭდილი იყო შემდეგი: „გარდაიცვალა ორიგინალური მგოსანი და პრიმიტიული ბოგემა ევგენი დვალი, თავმჯდომარე რუსთაველის თანასწორობის პარტიისა და სხვა“… ყოველივე ასეთი მოვლენის შემდეგ, მე მართლა ყველას გარდაცვალებული ვგონივარ და იყო შემთხვევები, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში [illegible] ბელი [illegible] ენერგიის და ხარჯვა დამჭირდა, რომ დამემტკიცებია, რომ მე ევგენი დვალი ვარ და არ მომკვდარვარ და არ გარდავცვლილვარ, არამედ ისევ ცოცხალი ვარ. ვის, რისთვის დასჭირდა სიყალბის ჩადენა? არ ვიცი.

ევგენი დვალი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისია

ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისია წინანდელ დადგენილების შესაცვლელად, ტფილისის ქ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 6 §—1 თანახმად, ამით აცხადებს, რომ ა/წ. 4 ოქტომბრიდან მოქალაქენი, რომელთზედაც ვრცელდება ტვირთზიდვის გადასახადი: 550 მან. მაგიერ უნდა გადაიხადონ 575.000 მ.ნ. 1 100 000 მ.ნ. მაგივრად 1.150.000 მან., 12 მანეთის ოქროს მაგ. 1 380.000 მან. და ჯარიმა 300.000 მ.

ეს დადგენილება ძალაშია განსაკუთრებულ გამოცემამდე.

შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელ კომისიის
თავმჯდომარე: **დ. თაქთაქიშვილი.**

№ 2019 1—1

ცეკავშირის მექანიკური სახელოსნომ
(მუშტაიდთან, კოოპერაციის ქ. № 1)
განაახლა
1. სახარატო, 2. საზეინკლო, 3. სათუნუქო, 4. სადურგლო, და 5. სამჭედლო
შეკვეთების მიღება.
იქავე სწარმოებს
მასიური დამზადება
საკონსერვო და სხვა კოლოფებისა, აგრეთვე ღუმელებისა.
სახელოსნოსთან არის საწყობი საკუთარ ნაწარმოებ საგნებისა:
ბარები, თოხები, ორთაიაები, ცულები, წალდები, სახნის, საკონსერვო კოლოფები თეთრი თუნუქისა, ფუთიანი „ბიდონები“ თეთრი თუნუქისა, კოლოფები ფეხსაცმლების წასასმელების საცხის, ნავთით სამუშაო მოტორი 120 ძ და საკომბინაციო 18 ნფ. ორივე მუშაობს.
მიმართეთ ცეკავშირის მთავარ კანტორას, შტაბის ქუჩა № 4, საწარმოო განყოფილება ან სახელოსნოების კანტორაში, დიდუბე, კოოპერაციის ქ. № 1.
№ 53 3—3.

ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს

რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

2000 მანეთი

№ 42. 10—10.

ტირაჟი 1680
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტეინის ქუჩა.